დახვეწილ ხაზებთან. კარგად არის შერჩეული მასალა, თით-
ქოსდა შინაგანად გასხივოსნებული მისი ფაქტურა ხაზს უს-



სულხან ცინცაიის გალები „დემონი“

ელისაბედ ბალანჩივაძე



სულხან ცინცაიის ბალეტი „დემონი“ უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია, რომელიც გვიხიბლავს შემოქმედებითი სიხალით, გაბედულებით, თანამედროვეობით, შთამბეჭდაობით. შეიძლება თამამად ვილაპარაკოთ „დემონის“ არა ცალკეულ დეტალებზე, არამედ მთელრიც სცენებზე, რომელთა მუსიკალურ განხორციელებაში იგრძნობა დრამა მოაზროვნე თანამედროვე მხატვრის მაღალი პროფესიონალიზმი.

ბალეტი შექმნილია ლერმონტოვის პოემის მოტივზე. (ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელი ვ. ჭაბუკიანი) და მე-7

სურათის გარდა — „ციური სამყარო“ — არსებითად მიჰყვება მის ძირითად ფაბულას, თუმცა ამა თუ იმ პერსონაჟის თხრობის „გაცოცხლება“ (ამ შემთხვევაში ნ სტრიქონი დემონის მონოლოგიდან — „ვგიცავ გაჩენის დღესა პირველსა“) პრინციპულად არავითარ დავას არ იწვევს და მას საკმაოდ კარგი პრეტენდენტები ჰყავს ქართული ბალეტის განხრში. საკმარისია გავიხსენოთ „ლევინდა“ ცინცაძის „ცისფერი მთის საუნჯიდან“ და „ოტელოს ნაამბობი“ სენატში ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოდან“.

„ჩემ ქვეშევდრითა სულების რაზმებს სულ ერთად შევეყრი, შენთან გაგაჩენ, მსველებს ნარნარებს, ნაზებს, ლამაზებს მისამასხურედ შენთვის ავარჩევ!..“

თავიდან აველეჯ აიხის ვარსკვლავს შენთვის გვირგვინსა ოქროსას, მეფურს“..

სწორედ აღნიშნული ექვსი სტრიქონის ესოდენ ფართო სცენური განხვეულება არც თუ ისე მიზანშეწონილია კულმინაციის წინ, სადაც მოქმედება უნდა ვითარდებოდეს უაღრესად დინამურად. დრამატურების ძირითადი ზაზისაგან დაუსორბებლად, გარდა ამისა, ორივე საბალეტო ნაწარმოებში („ცისფერი მთის საუნჯე“ და „ოტელო“) „თხრობა“ იშლება განვითარებულ სცენად, რომელიც კომპოზიტორებს აძლევს საშუალებას ჭეშმარიტი სიმფონიზმით გამსჭვალული ტილოების შესაქმნელად. უფრო მეტიც, ეს სცენები მუსიკალური დრამატურების დინამიზაციას უწყობენ ხელს, სტიმულს აძლევენ ახალი თემატიკის წარმოშობას, რომელიც შემდგომში სწორად გადაიქცევა წამყვან ლიტემასალად. (ოტელოს თხრობის თემა, ქართველ მეომართა გამარჯვების თემა „ცისფერი მთის საუნჯიდან“).

„დემონის“ მე-7 სურათი კი წარმოადგენს ნამდვილ დივერტისმენტს, რომელსაც ცოტა აქვს საერთო როგორც იერსახეობრივი, ისე მუსიკალურ-თემატური თვალსაზრისით ბალეტის წინა და მის მომდევნო სურათებთან.

იერსახეობრივი თვალსაზრისით დიდად განსხვავდება პოეტური პირველწყაროდან ბალეტის თვით ცენტრალური პერსონაჟი — დემონი.

დემონის სახის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საშუალებებით გახსნის სირთულე გაპრობებულია არა მარტო ლერმონტოვისეულ პოემაში მონოლოგების დიდი როლით, არამედ მათი დამახასიათებელი თავისებურებითაც. თუ მონოლოგური აღიარების იმპულსს დემონის ლირიკული აღსარება იძლევა თამართან სცენებში, სამაგიეროდ შემდგომში მონოლოგს მიეყვართ ფილოსოფიის სფეროსაკენ, ლირიკული პიროვნების სულიერი მარტოობის ბუნტარული პროტესტისაკენ, რაც აღსავსება სიამაყით, ხოლო ზოგჯერ კი სკეპტიკური ინტელექტუალიზმითაც.

სეგანარიად — ლერმონტოვის დემონი თითქმის მთლიანად იხსნება მონოლოგებში და აგრეთვე ნაწილობრივ პოემის დასაწყისში, სადაც თხრობა მომდინარეობს ავტორისაკენ. ეს უკანასკნელი ოსტატურად არის გადმოცემული საორკესტრო საშუალებებით (შესავალი, დემონის I სცენა, II მოქმედების შესავალი).

ბალეტი კი დემონის სახე განსაკუთრებით ღრმად იხს-



ნება ლირიკულ სცენებში და კერძოდ ლირიკულ adagio-ებში თამართან. დემონის მუსიკალურ დასასიათებაში შეიძლება მივუთითოთ ლეიტმოტივის პრინციპის გამოყენებაზე— მისი ბუნტარული პროტესტის თემაზე, დემონის — ფანტასტიკური არსების თემაზე, ეული რომ ფრინავს სამყაროს თავზე (დემონის გარეგნული იერი); ლეიტმოტივზე, რომელიც დაკავშირებულია მის ზეადმიანურ ძალაუფლებასთან და ბოლოს, თამარისა და დემონის სიყვარულის ლეიტმოტივზე. თემა ყველაზე აქტიურ სიმფონიურ განვითარებას განიცდიან დასახლებულ თემათა შორის პირველი და უკანასკნელი.

„დემონის“ ქორეოგრაფიული წარმოსახვის სირთულე კიდევ იმავალია, რომ აქ არ არის და არც შეიძლება იყოს ნაწარმოების ღრძაღ ქვეყლი მთავარი გმირის რაიმე არაკონტრასტული მნიშვნელობის დასასიათება, რადგან დემონს ხედავს, გრძობს, მაგრამ ძალზე ბუნებრივად უგებს მას მხოლოდ თამარი. დემონი ყოველთვის ლაპარაკობს მხოლოდ თამარზე. ბალეტში კი მის მაგივრად ძალზე ცხველად დასასიათების მუსიკა, მაგრამ ქორეოგრაფიული სახე, სამწუხაროდ, ცოცხლობს მხოლოდ იქ, სადაც მის გამორჩენაზე როგორღაც რეაგირებენ სხვა მოქმედ პირობები. ე. ი. წარმატებით არის ქორეოგრაფიულად გადაწყვეტილი ის სცენები, რომლებშიც მეტ-ნაკლებად იგრძნობა გამოსახვის ტრადიციული საშუალებების გამოყენება.

ამგვარად, ვფიქრობთ, რომ ცვლილებები დაკავშირებული ცენტრალურ სახესთან, გამოწვეულია არა იმდენად ავტორთა სხვაგვარი ესთეტიკური გამოხსულობით, რამდენადაც მათი მუშაობის მსაბურთო შედეგებით (განსაკუთრებით ლიბრეტისტისა და დამდგმლის), რომელთა საშუალებითაც პოეტური ორიგინალის ადეკვატად გასაღ მხოლოდ ლირიკული და ნაწილობრივ ვარნული სცენები.

დემონის მუსიკალურ დასასიათებაში კომპოზიტორი ერიდება გაშლილ, დასრულებულ ნაგებობებს. დემონის თვს ლეიტმოტივთან არც ერთი არ უტოლდება „თემის“ მნიშვნელობას. ასე, დემონის წამყვანი ლეიტმოტივს წარმოადგენს სურდინებული ტრანზონების პათეტიკურ ფრაზა-წამოძახილის, როგორც ტრაგიკული, მშფოთვარე პიროვნების დამამკვიდრებელი. სწორედ ამ ფრაზას ენიჭება ბალეტის დრამატურგიაში უაღრესად დიდ მნიშვნელობას, აქტიურად ვითარდება და, რაც მთავარია, ავტო ახდენს იმ მუსიკალური მასალის დინამი-

ხის ჯგუფის დაბალ რეგისტრში, ან სპილენძის ჯგუფში ან კიდევ ჩელესებს და კონტრასასებთან ხისა და სპილენძის ჯგუფებთან უნისონო. ხმათა ყველაზე ურთულეს ხარბობა კი ეს თემა გამოირჩევა მკაფიო და ნათელი ფერადობით.

დემონის გარეგნული იერის აღმნიშვნელი ლეიტმოტივს გამოვიყენებ უარსა და ლაქონურ საშუალებებით. აქ შეიძლება აღინშნოს ორი ვარიანტი, I — ეოლიონიებისა და ამფეზების დაღმავალი ფლაჟოლეტების უცვლელი თანმიმდევრობით 1/2 ტონი — 1 ტ. 1/2 — 1 ტ. და ა. შ. რიტუალად თანაბარი და II — არფის აღმავალი ფლაჟოლეტები, რომლებიც ხშირად ხმოვანებზე ფორტპიანოსთან უნისონო. აღნიშნული ლეიტმოტივი თავისი დრამატურგული როლით საგრძნობლად განსხვავდება დემონის ლეიტმოტივისაგან. იგი თან ახლავს დემონის გამორჩენას I აქტის სურათში, შეფოთვრებაზე 2 adagio—სინდრალისა და თამარის („სინდრალის ოცნებები“ — II აქტ. I სურათი), თამარისა და დემონის (II აქტის II სურათი), ხმოვანებს ბალეტის ფინალში, მაგრამ არსებით ცვლილებებს არ განიცდის. ამრიგად, იგი ძირითადად ასრულებს დეკორატიულ ფუნქციას. მაგრამ ამავე დროს ფლაჟოლეტების თავისებური „მოქმედების“ შედეგად იქმნება გარკვეული ემოციური სახე, გულმილეული, სეადიანი, საიდუმლო არსების, რომელიც განწირად ცხოვრებას.

ტემურული კონტრასტის ხერხი კომპოზიტორმა გამოიყენა ზედმიწევნით სასოვნად. „დემონის ბოროტების“ გამოსახტავად. ლიტარების გუგუნის დინამიკა წყდება უმაღლესი კულმინაციის დაძაბვის მომენტში, გამაოგნებელი, კვევრად დინამიკური არაბეტერევი წყობის აკორდი: მეტრურ „ჩარჩოში“ (e-h) მჭახედ ხმოვანებს დიდი სკეუნად (e-fis) ხლო შემდეგ მივყვებით დემონის ძირითადი ლეიტმოტივის მონათესავე ინტონაციები. შეიძლება აღინშნოს ლიტარების მძაფრი ხმოვანების სამი მომენტი: საორკესტრო უარსალის პირველ ტაქტებში, სინოდალის დაღუპვის შემდეგ და ბალეტის ფინალში. ზოგჯერ ლიტარების ასრულებენ რემინის ცენციების ფუნქციას ორი ზემოთაღნიშნული ლეიტმოტივის მსგავსად (მოგონება სცენაზე დემონის უზიდავი გამოჩენის შესახებ). ზოგჯერ კომპოზიტორი ერთდროულად იყენებს დემონის მთელ მუსიკალურ მასალას, უფრო ხშირად კი ორს — ფლაჟოლეტსა და დემონის ძირითად ლეიტმოტივს (გარეგნული იერი და თვით გმირი შინაგანი განცდებით). ხშირია, როცა დემონის ლეიტმოტივი ხმოვანებს ლიტარების ფონზე.

ჩვენ აღვნიშნეთ კიდევ ერთი მუსიკალური მასალა დაკავშირებული დემონის ფანტასტიკურ ძალაუფლებასთან. ეს მოკლე ფრაზა, როგორც წესი, მინაცვლებს ლიტარების გუგუნთან. განსაკუთრებული მნიშვნელობისა იგი ფანტასტიკურ სცენებში. ასე, დემონი-ჯადოქარს სახე ეჭმობირებულია ჯერ როგორ ბალეტის I სურათში, სასღვრავს მივლ VII სურათს, როგორც „ზეფუნებრივი“ ძალა, რომელსაც თამარი გადაჰყავს ჯერ დემონის სამფლობელოში, ხოლო შემდეგ კვლავ საკანში. რასაკვირველია, ეს უკანასკნელი ლეიტმოტივს გაიცვლებით ნაკლები მნიშვნელობისა, ვიდრე ადრე განხლებული თემები. იგი უფრო მეტად დაკავშირებულია გარკვეულ სიტუაციასთან, ვიდრე თვით გმირის სახის განვითარებასთან.

თამარის მუსიკალურ დასასიათებაში აღსანიშნავია ორი



ზაციას, რომელიც მასთან ურთიერთობაშია მოცემული. მაგალითად III მომენტების IV სურათიდან სიყვარულის თემას, რომელსაც თითქოს „შეიკრიბან მსუქვასეს“. არასაკლები მნიშვნელობა აქვს დემონის ლეიტმოტივს „მეორე პლანის“ თვალსწრისით (I აქტის I სურათიდან თამარის სცენა, ამავე მომენტების II სურათიდან თამარის ცეკვა ამანაგებთან). იგი შავი აზრდილივით ეხვევა ნაწარმოების თითქოსდა ყველაზე „ნათელ“ სცენებს. აღნიშნული ფრაზა ინარჩუნებს თავის ინტერვალურ თანმიმდევრობას და უმთავრესად ჟღერს

თემა: თამარი — პატარაძლისა და თამარისა და დემონის
სიყვარულის თემები, ეს უკანასკნელი თანდათანობით უახ-
ლოვდება დემონის თემსა, თუმცა მისი წარმოშობის იმპულსი
თვით თამარის თემსა.

თამარის თემა



უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას თამარის და
დემონის თემატური მასალის სტრუქტურულ სევასობას. თა-
მარის მუსიკალურ დახასიათებაში სჭარბობს შედარებით დას-
რულებული თემატური მასალა. ეს ეხება როგორც თამარის,
ისე სიყვარულის თემსაც.

მიუხედავად თამარისა და დემონის თემატიკის განვითარე-
ბას ბალეტის პირველ სურათში. თამარის თემა არის ნატიფი,
მსუბუქი, იგი ატარებს ძანრული ლირიკის ნიშნებს და უაღ-
რესად მოქნილად ამზადებს სიყვარულის ლეიტემებს. საქმე
იმამია, რომ სიყვარულის თემის პირველი გატარებისას იგი
საკმაოდ ემსგავსება თამარის ლეიტემებს. საერთოა სასილუ-
რო ფაქტურისა და მელოდირი ნახაზის მხრივ. მაგრამ შემ-
დედ თემის დინამიკის პროცესში ეს მსგავსება იკარგება:
თემა თავისუფლდება ყოველგვარი გარკვეულობისაგან (ორნა-
მენტებისაგან), წარმოიშობება აკომაუნქენტის პულსირებული
ტრიოლური ფონი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პირველ
დაწყებით ნახესთან: აღსანიშნავია აგრეთვე რეკუსტული და
ტემბრული სიფართოვე, საორგესტრო tutti. ყოველივე ეს
თემას აძლევს ამაღლებულ პათეტიკურობას, ემოციურ მზუნ-
ბარებას. ეს დემონის „გრძნობა“, ამტყველებული „ოდეს-
ღაც ნაცნობ შობილიურ ენით“. აღსანიშნავია, რომ მთელ ამ
ემოციურ ფეთქებას მივყავართ სწორედ დემონის თემის
სრულყოფილ გატარებასთან (Pesante).

მაგრამ განვითარებაში მყოფ თემატური მასალის ინტო-
ნაციურ კავშირებს „დემონში“ კიდევ უფრო ღრმად აქვს გად-
გებული ფუნქცია. მთელი ნაწარმოების კლმინიკის წინ (III
აქტის IV სურათი) თამარისა და დემონის დასკვნით Ad-
agio-ში საბედისწერო ამბობით, კომპოზიტორი იყენებს დე-
მონის მთელ მუსიკალურ თემატიკებს (ფანტასტიკური ძალა-
უფლებების, ვიოლინების მუსიკალუტების, ლიტავების გუ-
გუნს და რასაკვირველია, დემონის ძირითად ლეიტემოტივს).
მაგრამ რაც მთავარია — სიყვარულის თემა უშუალოდ უახ-
ლოვდება თავისი ხასიათით დემონის თემს. ტემპირი, რეკის-
ტრი, პირქუში თქტავური სვლით — ყოველივე ეს სიყვარუ-
ლის თემას უკვემდებარებს დემონის ლეიტემებს. დემონი
თითქმის უპირილიებს თავის სურვილს თამარის გაზარულ
სულს.

დასკვნითი Adagio-ს მთელი მთორე ნაწილი აგებულია
სიყვარულის თემაზე. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მას მათო-
რელობის ელემენტები შეემატა, რაც უფრო ამახვილებს შემდგომ
დემონის სასოწარკვევისა და მრისხანების ფეთქებას. ბალე-

ტის მუსიკალურ დრამატურგიაში არანაკლებ როლს ასრუ-
ლებს ერთ ქორალი: I ქორალი ხასიათით მკაცრია, ჰენდლი-
სეული ტიპის, პირველად ხმოვანებს I აქტის II სურათში.
თამარის ძიძის გამთაქვს თვითი საჭირწილო კაბა. თამარი
ბედნიერია. მთელი თავისი ფიქრებით ის ასლა სინოდალთან
იმყოფება, რომელიც მოთმენლად ელის მასთან შეხვედრას.
და სწორედ ამ მომენტში გაისმის დაბალი სიმებიანებისა
ვალდარბონების პედალური აკორდები, მათ ფონზე ხის ჯაგუ-
ფის, ვიოლინების, ალტებისა და ზარების კვარტული სვლე-
ბი, რომლებიც შემდგომ წარმოიშვებიან სინოდალის დაღუპ-
ვის შესახებ ამბის გაგების სცენაში და იღებენ სამელოდირი
ხასიათს. ამრიგად, თუ II სურათის სცენაში სიტუაციის მი-
ხედვით ყველაფერი ნათელი და სამხიარულოა, მუსიკა ხსნის
თამარისა და სინოდალის სიყვარულის განწირულობას. ქორა-
ლი ხმოვანებს აღინუნული პედალების შემდეგ ამავე ქორა-
ლის საწყის ინტონაციებზე აიგება III მოქ-ის I სურათის
შესავალი (თვით შესავლის მუსიკას ქორალთან არაფერი სა-
ერთო არა აქვს). შემდეგ, I სურათში, როდესაც დემონი მი-
იჭრება თამარის სარკმელთან და თვალყურს ადევნის მის
ლოცვას, ქორალი გადადის გუნდის ხმოვანებაში. ამ მომენ-
ტების გარდა ბალეტის პარტიტურაში I ქორალი აღარ
გვხვდება.

რაც შეეხება მეორე ქორალს, პირველად ის ხმოვანებს II
მოქმედების ფინალში, როდესაც თამარი გადასწყვეტს მონას-
ტერიუ წასვლას, და აგრეთვე თამარის საწყვედობის შემდეგ
ანგლოსების გამოჩენისას. პირველად ხის ჩასაბურ ინსტრუ-
მენტთა მთელი ჯგუფი უკრავს, მეორედ ორლანო, მესამედ
კა — tutti, ხოლო ფინალში კვლავ ორლანო... ყველა შემ-
თხვევაში ხმოვანებას ერთვის ზარების ხმა.

თუ პირველი ქორალი სვედიანი ხასიათისაა, მეორე —
უფრო ცივი, მიწიერი მღვდელარებისაგან დამორბულებია.
ანგლოსების გამოჩენა III მოქ-ის I სურათში არ არის დაკავ-
შირებული ლეიტმასალასთან. ეს არის ქალის დეკორატიული
ფიგურა, რომელიც თითრ სასიმის ჩნდება პუანტებზე შეტად
ზოგადი ხასიათის მქონე არის არაპევირებულ ხმოვანებაზე.

სინოდალს ბალეტში ლეიტემოტივირი დახასიათება არა
აქვს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის ტრაგიკულ სიყე-
დილთან დაკავშირებით წარმოშობილ კვარტულ სვლებს I აქ-
ტის II სურათსა და II აქტში. ლტმონტევის პოემისა და
თვით ბალეტის ლიბრეტის მიხედვით სინოდალი გვხვდება
მხოლოდ ერთხელ — I მოქმედების III სურათში, რომლის
ცენტრალურ პერსონაჟადც ის გვევლინება. მთელი III სურ-
რათი შეიძლება დავყოთ სამ დიდ სცენად: I — სასიძობსა და
მეობრების მასობრივი სცენა ტემპომენტული და ვაგაფერ-
ი ცვეკვითი, 2 — თქნების ლირიკული სცენა და 3 —
ბრძოლა და სინოდალის დაღუპვა. პირველი სცენა ძანრულია
თავისი ხასიათით. აღსანიშნავია ხორების სუთწილიანი რიტ-
მის ორიგინალური გამოყენება. იქნება ვაგაფაციოს, ახალ-
გაზრდობის, შუაპირობის მეტად საზოგადო სახე. ცენტრალურ
რიტმულ უკავია ცვეკვა „მთიულურს“. მთელი სცენა მთავრ-
დება საწყისი მუსიკალური მასალით და სტრუქტურ მთლიანო-
ბის შთაბეჭდილებას. ამავე დროს ეს არ არის ნაწარმოების
რაიმე იზოლირებული ეპიკტური ნაწილი, არამედ სცენა,

რომელსაც დრამატურგიული მნიშვნელობა აქვს სინოდალის დახასიათებისათვის მასობრივი ცკვის ფონზე.

თუ პირველ სცენაში სრულებით არ გვხვდება გამჭოლი მუსიკალური მასალა, სინოდალის ოცნებების სცენა მთლიანად აღ პრინციპზეა აგებული. ასე, სინოდალისა და თამარის Adagio ვეყარება თამარის ლიტეტომის განვითარებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ აკომპანემენტის ფაქტურა სრულიად იცვლება. სასიმღერო მელოდიის პლანში გადაწყვეტილი თანხლების დამახასიათებელი ფიგურები აქ იცვლება მთელტონის დამაბული აკორდების წყებით. თვით Adagio-ს კი საზღვრავს არფებისა და ვიოლინოების ფლაჟოლეტები. განსაკუთრებით სახიფათოა Adagio-ს წინა მუსიკალური მასალა, სადაც ხმოვანების დემონის ძირითადი თემა. დროებით დაუთმო რა ადგილი თამარის ლიტეტომას, იგი Adagio-ს კულმინაციურ მომენტში კვლავ შეიჭრება, უკიდურესად ამძაფრებს მუსიკალური ქსოვილის დრამატიზმს და ხმოვანების კონტრაპუნქტულად.

მესამე სცენა — ბოძოლა და სინოდალის დაღუპვა. თუ მეორე სცენაში დემონი უხილავად იმყოფებოდა სცენაზე თავისი აღტკინებითა და ტანჯვებით, მესამე სცენაში იგი უკვე მოქმედებს როგორც დემონური ბოროტება, რომელსაც მოაქვს დაღუპვა ყველასათვის, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ეღობება მას გზაზე. მოცემული სცენის ფინალში დემონის — ბოროტი ძალის ლიტეტომიტი წარმოდგენილია თავისი ძირითადი სახით გამჭოლი, თითქოს დამარბამავებელი ფუნქციით — დისონანსურად აკორდზე ხმოვანების თანდათანობით მზარდი ლიტატურების გუგუნით: ეს არის არაადამიანური სიამაყის წინაშე გამარჯვებული დემონის დაღდი. თვით ბოძოლის სცენა მჭიდროდადგენს არა მარტო ეფექტურ მუსიკალურ-პროფორგანოვულ სურათს, არამედ მავალთის გამჭოლი მუსიკალური თემატიზმის ნამდვილი სიმფონიური განვითარებისა. დემონის თემა აქ მეორე პლანის სახით უცვლელად არსებობს, ხოლო სინოდალის დაღუპვის მომენტში, პირველად მთელი სცენის განმავლობაში, ამოვანდებდა თამარისა და დემონის სიყვარულის ლიტეტომის მოდიფიცირებული ინტონაციები, ტარდება სპილენძის ჩაუფში, როგორც დემონის ძლიერების განმტკიცება. I მოქმედების ფინალური სცენის მთელი განვითარებაც სწორედ აქედან მიიღობა. დემონის მუსიკალური მასალა თანდათანობით ჩართვის გზით, მეორე პლანიდან¹ მიღწევს დრამატურგის წამყვანი ფუნქციის მნიშვნელობამდე.

ამგვარად, სინოდალს მართლაც არ გააჩნია „თავისი“ ლიტეტომა, მაგრამ მისი სახე საკმაოდ მკაფიოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი, ხოლო მთელი III სურათი მუსიკალური თემატიზმის რთული და დამაბული განვითარების, მისი ტრანსფორმაციისა და ურთიერთგამდიდრების მავალთის წარმოადგენს.

ჩვენ განვიხილეთ ბალეტის მთავარ სახეებთან დაკავშირებული თემატიკური მასალა. მაგრამ მოქმედ პირთა დახასიათებაში უდიდეს როლს თამაშობს სილო-ნომრებიც, რომლებშიც კომპოზიტორი ერთდროულად ახდენს ძირითადი თემატიზმის განვითარებას, „გადახალისებას“ და პარტიტურის ანახლებას. სოლო ვარიაციებისა და თამარისა და დემონის Adagio-ების უმეტესობა კი არ აზვიადებს სპექტაკლის მოქ-

მედებას, არამედ ახალ ბიძებს აძლევს მის შემდგომ განვითარებას.

ასე, თამარის გამოსვლა (I მოქ. I სურათი) მთლიანად დამყარებულია მისი ლიტეტომის განვითარებაზე, ემსახურება დიდი კონტრასტის შექმნას მის წინა განწყობილებასთან, რომელიც დაკავშირებულია დემონის ბოძოქარ სახესთან. თავისი რბილი საცეკვაო-სასიმღერო ხასიათით, ნავეზობის პერიოდულობით, დასრულებულობით, თამარის თემა კიდევ უფრო მკვეთრად ემხროება წინა სცენის იმპროვიზაციულ, პირქუშ ხასიათს. სცენის დასასრულს თამარისა და დემონის კონტრასტული მუსიკალური მასალა ხმოვანებს კონტრაპუნქტულად. თამარის მომდევნო ვარიაცია აგებულია სრულიად ახალ მასალაზე, რომელიც მოგვაგონებს სიცოცხლით აღსავსე, გრანდიოზულ და მსუბუქი იუმორით გამსჭვალულ სკერტოს. მაგრამ იმ წამსვე რადამტეხი მომენტე დგება დემონის თემის გამოჩენით, რაც მუსიკას უცვლის სახეს, აძლევს უფრო ენებისა, მგზნებელ გრძობების შფოთვის ხასიათს. სწორედ ამ მომენტში წარმოიქმნება, როგორც უკვე აღვინიშნეთ, სიყვარულის თემა, რომელიც თამარის ლიტეტომიდან წარმოსდგება და შემდგომი განვითარებისას სულ უფრო დამორღვება მას.



თამარისა და დემონის სიყვარულის თემა

კომპოზიტორის ერთ-ერთ ბრწყინვალე მონაპოვარს წარმოადგენს თამარისა და დემონის Adagio II მოქ-დან. საქმროს დაღუპვის ამბით დასოსწარკვევითი თამარი დასტრის ახალგაზრდა თავადის გვამს.

ყველასთვის შეუმჩნეველად ჩნდება დემონი, კვლავ ჩაქმის თამარს მისი ხმა აღსავსე ნუგეშით, სიყვარულის სითბოთი, მხოლოდ ის გრძობს მის იქ ყოფნას. Adagio-ში გამონახტვის უკიდურესი დამაბულობა შეხვედრულია ნავეზობის გასაოცარ ლეგიკურობასთან. ამასთან განსაკუთრებულ შეტამორფოზას განცდის თამარისა და დემონის თემები, დაიწყოთ თუნდაც დემონის სამყაროზე ქროლების თემის საწყისი ინტონაციების შერწყმით მის ძირითად ლეგიკურტივთან, რომელიც აქ არამეგულურივითაა მგზნებარ, პათეტიკური ხასიათისა. განვითარების პროცესში იმის დემონის „კვების“ ინტონაციები I მოქ-ს I სურათიდან. აღსანიშნავია, რომ შეიქმნა „განხილავ Adagio-მდე, მაგრამ იგი კუბიურების „მსხვერპლი“ გახდა კულმინაციურ მომენტში წარმოიშვენიერ სიყვარულის თემა, რომელიც მთელი მუსიკალური ნაკადი განვითარებით იმდენად მომზადდა, რომ აღქმება როგორც ბუნებრივი შედეგი. ამრიგად, თამარის თემა (სიყვარული თემის საფუძველი) და დემონის თემა (Adagio-ს წამყვან მასალა) შინაგანად ახლოვდებიან.

III მოქ-ის სოლო ნომრები ნაკლებად საინტერესოა. ესება არა მარტო „ციური სამყაროს აღნიშნულ დივერტის მენტს, არამედ თამარისა და დემონის სოლო ნომრებსა. თამარს ვაგოს საკანში მუსიკალური ენის თვალსაზრისით საზოად ბანალურია, ხოლო დივერტისნენტში ჩართულ ვარი-

ციებს არაფერი ახალი არ შეაქვთ გმირთა დახასიათებაში. უფრო მეტიც, დემონის მუსიკა თითქოს გამოხსნილია მოცეკვავის ფართო ნახტომებისათვის, რომ არაფერი ვთქვათ მის „მსგავსებაზე“ აფონდილის ვარიაციებთან („სინათლე“) და სოქოლურის ვარიაციებთან („ვენიდობისათვის“). მართალია, აქ არის ცდა აღნიშნული ვარიაციის თემატიკის დაახლოვებისა დემონის ლეიტმოტივთან, მაგრამ შემდეგ მოცემულია სრულიად მექანიკური აღმავლობა და რეპრიზული შესაქმნელი ნაწილი. ასეთი დაძაბული სიტუაციის პირობებში თამარის ვარიაციები არაფრის მოქმედი, გარდა იმისა, რომ კვლავ ხაზს უსვამს მისთვის ჩვეულ სიმუსებებს, გრაციოზულობას, სინატივებს.

უფრო საინტერესოა თამარისა და დემონის ორი Adagio განსახილველი აქტიდან, რომლებიც ხსენდება დივერტიკონებს „ცურის სამყაროდან“. ორივე ისინი მოცემულია საკანში, საიდანაც სულეხს მიჰყავთ თამარი და დემონი და სადაც ისინი კვლავ ბრუნდებიან. ორივე შემთხვევაში ახალი მუსიკალური მასალია არ ჩნდება, ვითარება მხოლოდ ძველი, უმეტესად გამჭოლი — დემონის ყველა ლეიტმოტივი, თამარის, განსაკუთრებით სიყვარულის თემა. აღსანიშნავია, რომ სწორედ III აქტის მეორე Adagio-ში სიყვარულის თემა ტემპობისა და ფაქტურის მხრივ უახლოვდება დემონის თემას, ხოლო სიყვარულის თემა ხმოვანებს მაქორნის.

დაბოლოს ბალეტის დრამატურგებზე მთლიანად. ბალეტი შედგება 3 მოქმედებისა და 9 სურათისაგან. პირველ მოქმედებაში სამი სურათია. მასში მოცემულია მთავარ გმირთა ექსპოზიცია (თამარი — დემონი) მთელი მათი რთული მუსიკალური მასალით, დრამის კვანძის შევსება-დემონმა შეიყვანა თამარი და პირველი ტრაგიკული შედეგი ამისა არის სინოდალის დაღუპვა. კოლოსალურ როლს თამაშობს საორკესტრო მუსიკა და I სურათი. არსებითად, სწორედ აქ ხდება ძირითადი მუსიკალური მასალის ექსპოზიცია. ბალეტის შესავალი მთლიანად ეთმობა დემონს. არავითარი გადამხრა ძირითადი იდეიდან, მთლიანობა და ამავე დროს სახეების დეკორატიული გამოკვეთა. ისინი იხადებიან ან უცვარ კონტრასტულობაში, ან შინაგანად მომზადებულნი.

შესავლის დრამატურგიული ფუნქცია დიდი და საპასუხისმგებელია. ჯერ ერთი, შესავალი იძლევა დემონის განზოგადებულ სახეს, მეორე — მასში ექსპონირებულია ძირითადი გამკვეთი მუსიკალური მასალი და ბოლოს, შესავალი თავიდან ახდენს მუსიკალურ-დეკორატიულ პრინციპის დეტალიზირებას, რომელიც დამახასიათებელია მთელი ნაწარმოებისათვის. გარდა ამისა, შესავალი უშუალოდ აწარმოებს და თითქოს გადაიხრდება კიდევ პირველ მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ნომრად — დემონის სცენად.

დემონის პირველი მონოლოგური სცენა მთლიანად შეიძლება ვაენივინოვი როგორც დემონის სახის სრულყოფილად გახსნილი სიმფონიური სურათი. სწორედ აქ ხდება მისი ძირითადი თემის ჩამოყალიბება და განვითარება. აქვეა დემონის ფანტასტიკური ძალის ამხანაველი თემის ექსპოზიცია. ეს უკანასკნელი შედარებით სტატურირია, რაც შეეხება დემონის ძირითად ლეიტმოტივს, ის აქ წარმოადგენს საფუძველს უაღრესად ინტენსიური განვითარებისა, მსგავსად თამარისა და დემონის სიყვარულის თემისა, რომელიც დემონირებულ ადგოლს დიკავეებს მათ შემდგომ სცენაში.

დემონის მონოლოგი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ იგი წარმოადგენს ბალეტის ერთადერთ ნომრს, სადაც ხდება დემონის თემატიკური მასალის შინაგანი განვითარება და გადღერება კონფლიქტურ მუსიკალურ მასალასთან მისი შეჯახების გარეშე (დემონი-თამარი, დემონი-სინოდალი). კომპოზიტორი ხაზს უსვამს თვით დემონის სახის შინაგან ექსპოზიციას. მთავარი გმირის ეს კონფლიქტი შესაძენველი იქნება იქაც, სადაც თამარისა და დემონის თემათა კონფლიქტი დრეშით შეიცვალა დემონის თემის მიერ თამარის თემის დამორჩილებით.

ჩვენ შეგებულად არ შევჩერდით დემონის ამ მიმინველოვან მუსიკალურ-დრამატურგიულ სცენაზე ბალეტის სოლო ნომრების განხილვისას, რადგან ამ სცენის ქორეოგრაფიული სახე იხდინდა სუსტია მუსიკალურთან შედარებით, რომ მთელი სცენა შეიძლება უფრო მეტი საფუძველით მივაკუთვნოთ ბალეტის საორკესტრო ნომრებს. მთელი ამ სცენის მანძილზე დემონი მხოლოდ „მიმოიხილავს ცოცხელ მიწას“ და „მიცურავს“ ღრუბლებზე წინ და უკან, მხოლოდ ხანდახან თუ გამოირბენს სცენაზე ნახტომებისა და ტრიალისათვის (როგორც ჩანს, ბუტაფორულ ღრუბლებზე სტომა სარისკოა).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ბალეტის ძირითადი ქორეოგრაფიული სახე — დემონი ცოცხლის იქ, სადაც მასზე რეაგირებს სხვა მოქმედი პირი, ე. ი. ლირიკულ სცენებში. ცალკე დემონი კი გამოვიდა ძალზე უფერული და უაღრესად თეატრალური ფიგურა. ეს მით უფრო დასაანია, რადგან დემონი I სცენაზე დამდგმული ხელთ ჰქონდა უაღრესად კვილოზობილური მასალი.

ცინცაძე თავის ნაწარმოებს ძირითადად აგებს დრამატურგიული განვითარების ერთიანი დინამიური ხაზის მიხედვით. მას მიდრეკილება აქვთ დიდი სცენებისაკენ, ამავე დროს განვითარება წარმოებს თანდათანობით დინამიკის მიხედვით. ასეთია თამარისა და დემონის I სცენა, სადაც თემატიკის აქტიურ განვითარებას მიყვარათ სიყვარულის ლეიტმოტივის შემოჭრასთან, რაც იწვევს მუსიკალური მასალის დინამიზაციას. აქვეა ახალი მუსიკალური მასალი — პირველი ნომრი. II სურათის ფინალი — ეს არის მკვეთრი ტოკატური პასაჟების, დაბოლოებული დამთავალი ქრომატიული სვლების მოხლეკვება, რაც დაკავშირებულია დემონის ბოზობილასთან, რომელიც ხდება სინოდალთან შეხვედრით გამოწვეულ თამარის მოუომენლობას.

ბალეტ „დემონის“ მეორე რედაქცია ძირითადად შეეხო მეორე მოქმედებას. ავტორები მისწრაფოდნენ ყურადღების კონცენტრირება თამარის ტრაგედიაზე მოხდინათ, უარყვეს რა დეკორატივები, რომელშიც ჩართული იყო თანრული სცენა ჩაეკტილი ნომრების გარეშე. მოქმედება იწყება სტუმრების გამოხვლით (საქორწილო ზეიმი გუდალის სახალზე-ში). იგი აგებულია ცეკვა „სამაიას“ ცვალებად რიტმზე, რაც სატირწილო სვლას აძლევს მირაჟის, ტრაგიკული განწირულობის ხასიათს. შუა ნაწილი არის თამარის ვარიაცია მისი ძირითადი თემის ორნამენტული გატარებით ფლიტის პარტიამში. ხელა გადადის მასობრივ ცეკვაში, რომელშიც შე-



იკრება სინოდალის სიკვდილის მაუწყებელი ტრაგიკული თემა, ადისონისა და სიკვდილი უარების რეკვი. მუხუხდავად II რედაქციის გამოწვეული ცვლილებებისა, რომელიც II აქტის I სცენას შორისა ხასიათის მისცა, არსებითად მთელ II მოქმედი აქტის მთლიანად ორი მომენტი — მხარული მთლიანი და მისი ტრაგიკული დასასრული. ე. ი. არსებითი აქ კონტრასტისა, და თუ ნომურული პრინციპის უარყოფა გამოიღობება მუხუხდავადით, სამაგიეროდ კონტრასტის, „შერბილება“, მით უფრო გუდალის სასახლეში სამგლოვიარო განწყობილება უარებითა და მოთქმით, თამარისა და დემონის Adagio, რომელიც „არარაგული“ სცენას ქმნიან, შეიძლება სადავოდ მოგვეჩვენოთ.

II მოქმედების ახალი თემატიკური მასალიდან შეიძლება აღინიშნოს ქორალი (სცენის მიღმა ორდანი) დაკავშირებული მონასტრითა.

III მოქმედება შედგება 5 სურათიდან, რომელთაცან ზოგიერთები მცირე მოცულობისაა. ასეთი დიფერენციაცია გამოწვეულია ლერმონტოვის თემის ანალოგიური ნაწილის ავტორის თანმიმდევრული კომპოზირებით.

ფინალურ სურათში (ეპილოგში) შენარჩუნებულია დემონის მხოლოდ ნაკლებად აქტიური, ნაკლებად ბუნებრივი თემები. სწორედ ეს ქმნის დიდ შთაბეჭდილებას.

ამრიგად, დემონის დახასიათება შესალოვან პირველ ტაქტივიდანვე დაიწყო მისი ე. წ. „ფეთქებადი“ ლიტერატურით. შემდგომში ექსპონირებულია მისი ძირითადი თემატიკური მასალა. სიყვარულის ლეიტმითის შემოჭრა დემონის თემატიკის ჰუმანიტარული სიმფონიზაციის სტიმულს ქმნის, რასაც მიეყვანათ კულმინაციამდე. შემდეგ აიხს, სიყვარულის თემასთან ერთად საერთო ქსოვილის გამოთვითაც ყველაზე უფრო აქტიური თემებში მასალა, რომელიც ხაზს უსვამს ცხოვრებისგან გარყვული გმირის საზინულ სულიერ სიცარიელეს.

ს. ცინცაძემ თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა დრამატურგმა ფსიქოლოგმა თემატიკური მასალის დინამიური განვითარების მიმართ. ამ მხრივ დიდი ყურადღება ეთმობა ტემპების დრამატურგიას. „დემონში“ საორკესტრული ფორები კოლოსალურ როლს ასრულებენ როგორც გმირთა ხასიათების ექსპოზიციის, ისე მათი განვითარების პროცესში. შეიძლება გამოვყოთ ლიტერატურის მთელი რიგი. ასე, დემონის ძირითადი ლიტერატურული ხმოვანებს მთელი ბალეტის მანძილზე უმეტესად სპონტანური რეჟისორის მიერ იქმნება. დემონის სტილიანობის ცალკე ან ხის რეჟისორის უნისონში. დემონის სტილიანობის ლიტერატურული დაკავშირებულია ვილინიანობის დაბალ ფლექსიბილურობასთან, ზოგჯერ არფუბთან. დემონი-ბორთიკი სულის ლიტერატურული — ლიტერატურის ტემპთან, ხოლო დემონი-რეჟისორი — არფუბის გლისანდოსთან და ვალტორნებთან. აღსანიშნავია, რომ კულმინაციის წინ (IV მოქმედების IV სურათი) სიყვარულის თემა „გმირილიება“ დემონის თემას, ეს სწორედ დაკავშირებულია რეჟისორთან და ტემპთან.

როდესაც დასკვნითი სურათის ეპილოგში გვეხმის I და III ტროპიკების სამი დადამავალი უნიონის, ისინი გავმცნობენ ტემპობურ და ფაქტურული თვალსაზრისით დემონის ძირითადი ლიტერატურული პირველი დამდამალი მოძრაობის.

ბას. თუმცა, მთელი ბალეტის მანძილზე იმდენად ცენტრული ცენტრული ლიტერატურული დახასიათებას, რომ არავითარ ტემპს არ იწვევს ამ მოტივის გაუმირი დემონის ხასიათის, მისი სასიცოცხლო ენერჯის უკანასკნელ გამოტოვობასთან.

„დემონის“ პარონიკული ენა რთულია. შესაძლებელია პარონიკის სფეროში 3 მომენტის აღნიშვნა, რომლითაც სარგებლობს კომპოზიტორი: თემატიკური, დაკავშირებული დემონის-ბორთიკების ხასიათთან, დემონი-ბორთიკური სულთან. დემონი-ფანტასტიკური არსება ეყვარება გართულებულ აკორდიას, დაბაბულ და მახული სკეჟენდურ, კვარტულ ტრიტონულ ხმოვანებს (საბედისწერი კოცნა — ორი ტრიტონის შერწყმა g-des და a-es), დრამატურების ლირიკულ სფეროსთან დაკავშირებული თემატიკური მასალა კი ეყვარება უფრო ზოგად-რომანტიკულ პარონიკს, ხოლო განრული სცენები აიგება ქართული ხალხური კოლოების კანონზომიერებით.

ბალეტ „დემონში“ დიდ როლს თამაშობს მეტრორიტმული ფაქტორი, რომელსაც ზოგჯერ საპასუხისმგებლო დრამატურული ფუნქცია აკისრებს. მაგალითად, დიდ გამჭოლ სცენებში კომპოზიტორი იშვიათად თუ ინარჩუნებს რამდენიმე ხანგრძლივი დროით ერთნაირ ზომას, ამიტომ ზომის სტაბილურობა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო მომენტებში აღიქმება როგორც მათი მნიშვნელობის გაძლიერების საშუალება. აღსანიშნავია, რომ როდესაც მეტრორიტმი ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას ატარებს, ეს ყოველთვის დაკავშირებულია ქართული ხალხური მუსიკის ამა თუ იმ ხასიათის კანონზომიერების გამოყენებასთან.

ბალეტის მუსიკალური ენა მკვეთრად ეროვნულია. ხშირად სარგებლობს კომპოზიტორი ამა თუ იმ კანონზომიერებით. მაგალითად, ხორუმის ზომა სინოდალის ამალის ცხველებში ან სამაიაში „ნუნჯი ვოცის“ შორეული ვარიანტი, ან საჭიდაოს ინტონაციების გამოყენება დემონის ვარიაციებში.

„დემონში“ სულან ცინცაძის ტალანტის საინტერესო მხარეები შეისისხლბრცა. ამავე დროს ეს ნაწარმოები არის პირველი ცდა ქართულ საბალეტო განვითარების შემოქმედებისა — დამახასიათებელი ტენდენცია, რომელიც ბოლო წლების ქართულ ბალეტში განსაკუთრებით შეინიშნება.

სულან ცინცაძის ორ ბალეტს შორის უდიდესი შემოქმედებითი დისტანციაა, მიუხედავად ხუთი წლისა, რომელიც ამ ორი ნაწარმოების შექმნის შორის გავიდა. კომპოზიტორის შემოქმედებაში „დემონი“ პირველი სცენური ნაწარმოებია, რომელიც დაუკავშირდა გმირის რთული და მრავალფეროვანი მხარის განხილვას: სწორედ „დემონში“ მოვატა მისი მესამე კვარტეტი (1962) და II სიმფონია (1963 წ.), რომლებიც რამდენადმე აგრძელებენ ამ ბალეტის გზას, განსაკუთრებით კი მისი II სიმფონიას.

საკუთარი დეკორატიული კონტრასტულობა, ფსიქოლოგიური დაბაბულობა, ტემპების ფარდობენება, სიმფონიის ყველა ეს ღირფასოვანი ნიშანი თავის სათავეს „დემონის“ საუკეთესო მიღწევებიდან იღებს.

ამრიგად, „დემონი“ მნიშვნელოვანი ეტაპია როგორც ქართული საბალეტო განვითარების, ისე თვით ცინცაძის შემოქმედებაში.



ბა-დე-კატრი. მუსიკა ბუნისა

„კუბის ეროვნული ბალეტი“ თბილისში



ანამედროვეობის სუნთქვა ქორეოგრაფიულ კლასიკაზე დაფუძნებულ ბალეტში — აი, როგორია შესანიშნავი კუბელი ბალერინის ალისია ალონსოს შემოქმედებითი კრედო. მაგრამ ამ მისწრაფებით გაქცენილია არა მარტო მისი პირადი ოსტატობა, არამედ „კუბის ეროვნული ბალეტის“ მთელი ხელოვნება.

საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებ-

ში (მოსკოვი ლენინგრადი, ვოლგოგრადი, კიევი) გასტროლების შემდეგ „კუბის ეროვნული ბალეტი“ თბილისს ეწვია 60 კაცის შემადგენლობით და რამდენიმე კონცერტი გამართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

რევოლუციური კუბის ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დიდია ალისია ალონსოსა და მისი მეუღლის, კოლექტივის გენერალური დირექტორის ფერნანდო ალონსოს დამსახურება. ეს კარგად იგრძნობოდა ჩვენი სტუმრების პროგრამაში, რომელშიც შედიოდა არა



საქართველოს
ხალხური თეატრი

ცეკვა „კონგა“



ერმა ბალერინაგ იმთავითვე შიაკცია ყურადღება ჰქრჩილის „ამო სიფრთხილეს“. რომანტიკული ეპოქის ამ ერთ-ერთ კლასიკურ ბალეტს, რომელმაც დღესაც შეინარჩუნა თავისი უწყნობი სათნობა, სიკოცხლის უნარიანობა და გონებაამხვილობა. ფრიად საინტერესო გამოდგა ავ ბალეტის სცენური ინტერპრეტაცია: ა. ალონსოზ იგი ჩვეულებრივი ორაქტიანი ფორმის ნაცვლად ერთაქტიანად დადგა.

მთავარი მოქმედი გმირის — ანცი და მოუსვენარი გოგონას ლიზას როლს თვით ალისია ალონსო ასრულებს. ბებია ყოველნაირად ცდილობს „ცდუნებისაგან“ იხსნას შვილიშვილი და დააშოროს იგი სატრფოს, მაგრამ ამაოდ, ლიზა-ალონსო ურყევია.

იდილიური სცენები, რომელთაც ჩვეულებრივ ფრაგული პასტოკალის სტილში ასრულებენ ხოლმე, „კუბის ეროვნული ბალეტების“ დასში

მარტო კლასიკური მემკვიდრეობის ნიმუშები, არამედ ეროვნულ ფოლკლორზე შექმნილი სახასიათო, ფერადოვანი ჟანრული ცეკვები.

კლასიკური ქორეოგრაფიის პოეტურობითა და სიმკაცრით ალისია ალონსო მთლიანად და მომხიბვლელად გამოავლინა თავისი ხელოვნება. ნიჭი-

„მოჩენებები“



ცეკვა „არუმბა“



გამსჭვალულია ნამდვილი ხალხური სულისკვეთებით, ცოცხალი იუმორითა და სიცოცხლის დამამკვიდრებელი ძალით. ალისია ალონსო მეტად ლირიულია და ქმნის ახალგაზრდა მშვენიერი სოფელი გოგონას დაუფიქრებელ სანახს. ალისია ალონსო შესანიშნავად ფლობს კლასიკური ბალეტის ყველა კომპონენტს, ცეკვავს მსუბუქად, თავისუფლად, რბილად და პლასტიკურად. თავის მომხიბვლელ და ტექნიკურ პარტნიორ როდოლფო როდრიგესთან ერთად შეასრულა დუეტი და ვარიაცია მეორე და მესამე მოქმედებიდან. ასევე მალაპროვისიულ დონეზე შეასრულეს მათ „პა-დე-დე“ ჩაიკოვსკის ბალეტიდან



პა-დე-დე ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედის ტბა“. ასრულებენ ალისია ალონსო და როდოლფო როდრიგესი

„კუბური სუიტა“



„გედის ტბა“. ორივე მსახიობმა გაიბრწყინა ვირტუოზულობით, მსუბუქი ხტომებითა და რთული ბრუნვებით.

ცეკვა „პა-დე კატრის“ (კომპოზიტორი პუნი) დადგმა ალისია ალონსომ და კეიტ ლესტერმა რთულ ანსამბლურ და ვარიაციულ ფორმაში გადაწყვეტიტს. კუბის ბალეტის ახალგაზრდა სოლისტებმა ხ. მენდესმა, ლ. არაუხომ, მ. მარტინესმა (ეს უკანასკნელი ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის აღზრდილია) და ს. მარიჩალმა გვიჩვენეს კარგი ტექნიკური მომზადება და მეგობრული „ოთხეული“ შექმნეს. ორიგინა-



პა-დე-კატრი. მუსიკა პუნი



საქართველოს
ოპერისა და ბალეტის
ხალხური თეატრი



ბა-ლე კატრი. მუსიკა პუნისა

ბა-ლე-დე ჩაიკოვსკის ბალეტიდან «გედის ტა»
ასრულებენ ალისია ალონსო და როდოლფო როდრიგესი



ფორტუები ა. ბალაბუევისა
და პ. შევეჩენკოსი

ლურ ქორეოგრაფიულ მინისტრატაში
„ზმანება“ (კომპოზიტორი ფრანკი,
დამდგმელი ხოსე პარესი) თავი გა-
მოიჩინა მოცეკვავე ლაურა რაინერმა.

საინტერესოა ბალეტი „გალვიძე-
ბა“ (კომპოზიტორი ფრანსისი, დამ-
დგმელი ხოსე პარესი), რომელშიც
ქორეოგრაფიული ლექსიკის საშუა-
ლებით დახატულია სურათები კუბე-
ლი ხალხის რევოლუციური ისტორი-
იდან. ბალეტში თითქმის მთელი და-
სია დაკავებული. ანსამბლის ყველა
მასიური ცეკვა დინამიური, გამომ-
სახველი და ორიგინალური მიზან-
სცემებით არის აკეული.

„კუბის ეროვნული ბალეტი“ შე-
იქმნა 1948 წელს და თავდაპირვე-
ლად ეწოდებოდა „ალისია ალონსოს
ბალეტი“, მაგრამ თავის ნამდვილ
შემოქმედებით გაფორმებისას, ნამ-
დვილ ხალხურობას ანსამბლმა მი-
აღწია მხოლოდ 1959 წლის რევი-
ლუციის შემდეგ. ანსამბლის პრიმა-
ბალერინა და მხატვრული ხელმძღვა-
ნელი ალისია ალონსო პირველად
როდია საბჭოთა კავშირში. ჯერ კი-
დეც 1957 წ. მან თავისი ხელოვნებით
ალაფრთოვანა მოსკოველი, ლენინ-
გრადელი, რიგელი, კიეველი მაყურე-
ბელი.

თბილისელებს უყვართ ქორეოგრა-
ფიული ხელოვნება და ყოველთვის
დიდი ინტერესით ეცნობიან საზ-
ღვარგარეთელი შეგობრების საბა-
ლეტო კოლექტივებს. ამიტომ იყო,
რომ „კუბის ეროვნული ბალეტის“
გასტროლები ფრ.:დ საყურადღებო
მოვლენად იქცა ჩვენი ქალაქის კულ-
ტურულ ცხოვრებაში.

ალსანიშნავია, რომ კუბელი შე-
გობრების გამოსვლებს დირიჟორობ-
და ქართული დირიჟორი, საქართვე-
ლოს სსრ ხელოვნების დამსახურე-
ბული მოღვაწე ვახტანგ ფალიაშვი-
ლი, რომელმაც მნიშვნელოვანი
წვლილი შეიტანა გასტროლების სა-
ერთო წარმატებაში.

მ. ბარულავა



პენრის ნეიპაუზი (ცენტრში) საქართველოს ხელოვნების მოღვაწეთა აგზუფში

დიდი მუსიკოსი

თამარ ჩარეჭიშვილი



ენრის ნეიპაუზი — ეს სახელი საშემსრულებლო ხელოვნებაში ცნობილია როგორც განუმეორებელი მოვლენა. საოცრად პარმონიულია მისი შემოქმედებითი პიროვნება: მუსიკოსი-მოაზროვნე, შემსრულებელი, პედაგოგი-მკვლევარი და კრიტიკოსი, მგზნებარე მუსიკოსი, მხატვარი-პოეტი და ამავე დროს მუსიკის შინაარსის ღრმა ანალიზის დიდი ოსტატი.

იგი ყოველთვის ისწრაფვოდა მხატვრული, ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური განზოგადებისაკენ, ძალზე ღრმა ცოდნა ჰქონდა, მაგრამ არასოდეს არ ემსგავსებოდა იმ ადა-

მიანებს, რომლებიც ცოდნის ტვირთით დამძიმებულნი ცნობარად გადაიქცევიან და მზად არიან ყოველ საჭირო შემთხვევაში მოგაწოდონ მშრალი ცნობა საშემსრულებლო ხელოვნების ამა თუ იმ საკითხზე. ეს იყო დიდი ტალანტის ადამიანი, რომელიც იშვიათი უშუალოებით აღიქვამდა ცხოვრებას, ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობით განიცდიდა თანამედროვეობას, ეძიებდა და აპოლოზობდა ყოველივე საინტერესოს.

ნეიპაუზის შემოქმედებით გზას რომ ვიხსენებთ, მესხიერებაში ცოცხლდება მისი შესანიშნავი კონცერტები, რომელთა შესახებ მისივე სიტყვებით მინდა ვილაპარაკო. „Тут кроме всего властвует закон концертного исполнения — закон мгновения данной музыки, данного душевного состояния, данного переживания“.

წარუშლელად აღიბეჭდა მესხიერებაში მის მიერ შესრულებული ბახის, ბეთოვენის, მოცარტის, შოპენის, ლისტის, ბრამსის, სერიაინის, დებუსის, რავლის, პროკოფიევის ნაწარმოებები.

მოვივინთო პრელუდია და ფუგები ორივე ტომიდან Das wohltemperierte Klavier და ფუგა C-dur, b-moll, cis-moll ან სედიანი ელგეური ხასიათის პრელუდია და ფუგა es-moll, რომელსაც იგი უკრავდა განსაკუთრებული მომხიბვლელობით.

შოპენის ნაწარმოებთა ნეიპაუზისეული შესრულების გახსენებისას აწვდებდა რომელიმე ქმნილების ცალკე გამოყოფა, რადგან მის მიერ შესრულებული შოპენი მიეკუთვნება პია-

ე. ბ. ბერიძის
 მხატვრული მემკვიდრეობის
 ველოს სსრ ხელოვნების
 დამახსოვრებელი
 მუზეუმის
 გახილვის
 აღსანიშნავად
 აღიარებულია
 და პერიოდული



ნისტური ხელოვნების უმაღლეს მიღწევებს. ვის არ ახსოვს კონცერტები e-moll, f-moll, ფანტაზია f-moll, მასურები h-moll op. 30, a-moll op. 7, a-moll op. 69, fis-moll op. 59 და სხვა. პარკაროლა, სონატები, h-moll, b-moll, ნოქტიურნები: E-dur, Fis-dur, Des-dur, ან სერიაზის სონატები, კონცერტი, ბრამსის კონცერტები d-moll, B-dur, ინტერმეცები თხ. 116, 117, 118, 119, შუმანის ფანტაზია C-dur, შუმანის კონცერტი a-moll, კრეისლერიანა და სხვა. ყველას ახსოვს მისი საყვარელი ინტერმეცოს (es-moll) მწუხრით სავსე პანგები.

ბეთოვენის უკანასკნელი ხუთი სონატის იდეური წრე განსაკუთრებით მასობოვლი იყო ნეიპაუსისათვის. თხ. 101, 106, 109, 110, 111. ვის დაავიწყდება თხ. 111 სონატის ფინალი Arietta. Adagio molto semplice e cantabile ფილოსოფიური ჭერტის ღრმად სველიანი, მაგრამ ნათელი ლირიკული სმოვანება. ან თხ. 110 სონატის პირველი ნაწილის Moderato cantabile molto espressivo პირველი ტაქტები, მათი პოეტური ოცნების სახეები, ან ამავე სონატის Arioso dolente. აქ იგი ოსტატურად ფლობდა რეჩიტატიულ-არიოზული ტიპის კანტილენას. გავიხსენოთ აგრეთვე ფინალური ფუგის ის მიმენტი, სადაც ჩნდება მეთექვსმეტედები, და შემდეგ meno allegro-დან იწყება სისარულის გადაძახილები, რომლებიც გადადის სიცოცხლის დამამკვიდრებელი საწყისის ზეიშში. პ. გ. ნეიპაუსის გარდასახვა სველიანი ლირიზმიდან სადღესასწაულო განწყობილებაზე დიდი ძალით იპრობდა მსმენელს, ხოლო თვით შემსრულებელი სველისაგან განაიხსნებელი მიოლტეოდა ბეთოვენისეული სისარულის მწვერვალებისაკენ.

ასე დაუსრულებლივ შეიძლება მასთან დაკავშირებული შობამღელვებების გასწენება. აქაც მინდა მისი სიტყვებით ვილაპარაკო: „Навсегда связалось незыблемое ощущение: Мир совершенен, мечта стала действительностью и хотелось вместе с Фаустом воскликнуть:

остановись мгновение — пусть даже с риском разделить судьбу Фауста... такие моменты, такие встречи с искусством, с гением красоты принадлежат к самому редкому, самому прекрасному, что можно испытать в жизни“.

ნეიპაუსი რომანტიკული აღმავრენის, მგზნებარე ტემპერამენტის პიანსტი იყო, ამასთანავე მრავალმხრივი კულტურისა და განჭურვების უნრით სავსე ადამიანი.

ხელოვანის პიროვნების მთლიანობა იგრძნობოდა მისი მღელვარების ყველა სფეროში — არტისტულში, პედაგოგიურში, კვლევითში, კრიტიკულში, იგი ყოველთვის თავისი შემოქმედებითი რწმენის ერთგული იყო. მისი მრავალმხრივი ლისწრაფებანი, სიყვარული და ცოდნა არა მარტო მუსიკის, არამედ ფერწერის, ქანდაკების, პოეზიის, ფილოსოფიის, აგრეთვე ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილებები — ამიღრებდნენ მის შემოქმედების ფანტაზიას და გემოვნებას.


ნეიპაუსი — პედაგოგი. მისი შემოქმედებითი პიროვნება ამ სფეროში უდიდესი ძალით ახდენდა გავლენას ასალგავარდა შემსრულებლებზე. მისი გაკვეთილები მეტად ღრმა და საინტერესო იყო. მათი არსი ძირითადად განისაზღვრებოდა ნოწაფის ინდივიდუალობით. მას არ უყვარდა გაკვეთილები enite nous, იზიდავდა მსმენელებით სავსე აუდიტორია, რომელსაც ის პედაგოგიურ გამოცდილებას უზიარებდა. ნეიპაუსი ძიებისა და ფიქრისათვის განაწყოდა ყველას. ინსტრუმენტთან მჯდარი ზოგჯერ წყვეტდა ლაპარაკს და ცნობისმოყვარებით აკვირდებოდა მსმენელს, ათთქოს ეჭებდა თანამოარეს, აინტერესებდა ყველა მონაწილის რეაქცია მის ნათქვამზე. ნეიპაუსი ხიბლავდა მსმენელს ნაწარმოების ბრწყინვალე ანალიზით. მისი მოხდენილი ანალიზები, მხატვრულ სახეები, შესანიშნავი სადირიფორო ტესტი და ზოგჯერ მასხელი იუმორი წვრთნიდა მოწაფის შემოქმედებით აზროვნებას, მის საშემსრულებლო ოსტატობას. ნეიპაუსი დიდი ტალანტით ეუფლება იმ მეთოდიკას, რომელიც თვითიანსწინებს საშუალო

მინაცემებიდან დაწყებული მაღალი ნიჭით დაჯილდოებულთა აღზრდის ოსტატობას ნეიპაუზი ამბობს: „Я убежден, что диалектически продуманная методика должна охватывать все степени одаренности. Если методическая мысль сосредотачивается на малом отрезке действительности (средняке) то она ущербна, не полноценна, недиалектична и потому не правомочна. Если уж быть методистом, а методист обязан исследовать действительность, то быть им до конца, охватывать весь горизонт — от средняка до Рихтера-уникального дарования. Мне скажут— это стихия. Я решительно протестую против такой точки зрения.“

Всякий большой пианист художник является чем-то вроде не расщепленного атома для химика. Надо иметь много энергии, ума, чуткости, таланта и знания, чтобы проникнуть в этот сложный организм. Но именно этим-то и должна заниматься методика, чтобы выйти из пеленок и не вернуться в кругу своей узкой системочки“.

ბუნებით რომანტიკოსი, ნეიპაუზი პედაგოგიკაშიც აფართოებს თავისი კვლევის ჩარჩოებს. მისთვის უცხოა ყოველგვარი დოგმა. ის არ ევედრა მოწაფეებს მასთან ერთად ძიებას, დაპირისპირებას, მხატვრული ამოცანების დასახებას, ზრდიდა ახალგაზრდობას არა მარტო სამემარულელო დაოსტატებში, არამედ ცდილობდა „сделать ученика более умным, более чутким, более страстным, более преданным своему делу, более устремленным, более честным, более справедливым, более стойким... А это прежде всего означает работать с учеником так, чтобы как можно скорее стать для него ненужным, то есть воспитать в ученике ту меру самостоятельности и умения, которые называются зрелостью, порогом, за которым начинается мастерство. Источник Красоты искусства—душевная красота человека, которую надо воспитать“.

ნეიპაუზი კრიტიკოსი — მკვლევარი. ვისაც წაუკითხავს მისი კრიტიკული წერილები, რეცენზიები, არ შეიძლება არ მოხიბულულიყ წერის მანერით, გადმოცემის უშუალობით, საკითხების ღრმა მეცნიერული განჭვრეტით, ზოგჯერ ოუმორით, დიდი შემოქმედებითი გაქანებით. გავისწავთ მისი ზოგიერთი სტატია პროკოფიევზე, შოსტაკოვიჩზე, სოფრონიცკოზე, რისტერზე, კლიბერნზე, და მისი შესანიშნავი წიგნი „Об искусстве фортепьянной игры“. აქცე დიდი ძალით იგრძნობა მისი მომხიბველი ინდივიდუალობა, ნეიპაუზისეული უშუალობით აღბასე წერის მანერა. ამ შესანიშნავი მუსიკოსის პირველი პედაგოგიური დებიუტი შედგა 1916 წელს თბილისის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც მან 1918 წლამდე დაყო. ნეიპაუზი ზშირად გამოდიოდა კონცერტებით. კრიტიკოსები მას აღფრთოვანებული რეცენზიებით ეხმარებოდნენ. თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობა მასში ხედავდა დიდ მხატვარს და ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. ამ წლებმა მტკიცედ დაუკავშირა ნეიპაუზი



ქ. ძალდაშვილი

ჩვენის ნეიპაუზის პორტრეტი

ჩვენს ქალაქს, კონსერვატორიას, მუსიკალურ სასწავლებლებს, ყველა მათ, ვისაც უნდაროდ უყვარდა მუსიკა, რომელთაში მეგობრობა და სიყვარული მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. წლების მანძილზე სხვადასხვა დროს იგი თავმჯდომარეობდა კონსერვატორიის სახელმწიფო გამოცდებს, ატარებდა ღია გაკვეთილებს, კითხულობდა ლექციებს არა მარტო კონსერვატორიაში, არამედ ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში და ყველა მუსიკალურ სასწავლებელში. იგი ბევრს უკრავდა სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის, მისი კონცერტები ყოველთვის ხალხით სავსე დარბაზში ტარდებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ დღებამდე, განუწყვეტლივ დაკავებული თავისი ინტენსიური მოღვაწეობით, იგი ძნელად პოულობდა დროს მისი „საყვარელი თბილისისათვის“, რომელიც მან უკანასკნელად შარშან იწახუა. ჩვენს ქალაქს ის თავისი კონცერტებით ეწვია. იმ დღით აღინიშნა მისი დაბადებიდან 75 წლისთავი. კონცერტები ბრწყინველდ ჩატარდა. თბილისელებმა მხურვალე ოვატია გაუმართეს ძვირფას და საყვარელ



სტუმარს. ნეიპაუზმა სთქვა „დღეს ბედნიერად ვგრძობ თავს, რომ თქვენთან ვარ და კიდევ ერთხელ გიზიარებთ ჩემს ხელოვნებას“. მას უყვარდა ჩვენი ქალაქი, ჩვენი უძველესი აულტურა, არქიტექტურული ძეგლები; უყვარდა ჩვენი პოეტები, მხატვრები, ზრუნავდა ჩვენს მუსიკოსებზე. არ დამავიწყდება მისი გაბრუნვინებული სახე ელისო ვირსალაძის შესანიშნავი ფინალური გამოსვლის შემდეგ შემსრულებელთა მეორე საერთაშორისო ჩაიკოვსკის კონკურსზე. იგი გვილოცვდა ელისოს დიდ ტალანტს, გულწრფელად იზიარებდა ჩვენს სიხარულს.

მას უყვარდა ჩვენი ბუნების სილამაზე, უყვარდა ჩვენი სუფრის წესები, ხვანჭკარის ფერი და გემო. აღფრთოვანებული იყო ჩვენი მრავალმნიანი სიმღერებით. უკანასკნელი სტუმრობის დროს მან ინახულა მხატვარი ლადო გუდიაშვილი. ამ დღეს მეგობრების ვიწრო წრეში ბევრი საინტერესო ამბავი მოგივითხოვ საკონცერტო მოვლარობების, შეხვედრების შესახებ უცხო ქვეყნების პოეტებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან, მწერლებთან. „მე ყოველთვის მიყვარდა აღმოჩენები“. ზოგიერთი შემოქმედი მიმაღულია ფოთლებში, როგორც ია და მეც სწორედ ფოთლებში მიმაღული იის აღმოჩენა მიყვარდა“. იმ დღეს ლადო გუდიაშვილის მხატვრობით აღტაცებული ისევ და ისევ უბრუნდებოდა უკეთესთა შორის უკეთეს სურათებს, რათა კიდევ ერთხელ მოეგლო მათთვის თვალი. როდესაც შინ ვბრუნდებოდით, ნეიპაუსს მოწიწებით მოპატივობდა. გუდიაშვილის საჩუქარი — პატარა სურათი. როცა ჯაშუთის მიგუზალოვდით, იგი შეჩერდა, შეხედა ჭკარს და თქვა: „რა ლამაზია თქვენი ქალაქი, ბედნიერი ხართ, რომ ასეთ ქალაქში ცხოვრობთ“.

ერთ კვირა დღეს ნეიპაუსმა ინახულა მცხეთა, ჯვარი, მამულაშვილის ყვავილები. მახსენდება ყვავილების სილამაზით მიზიზღული ნეიპაუსის სიტყვები: „Ведь цветок живет и в музыке. Фраза Листа — une fleur entre deux abîmes — внушила мне размышления о роли цветка в искусстве. Я показывал музыкальные фразы — мотивы, в которых образ цветка в соответствии с характером музыки угадывается так, как в Бетховенском Allegretto“.

უკანასკნელად ნეიპაუსი ვხანქ 1964 წლის აპრილში, მოსკოვში. მისა სალასო თოახი სახე იყო მსმენელებით. მას ჩვეული ახალაზრდული გატაცებით მიჰყავდა გაკვეთილი. შესვენებაზე საუბარში თბილისში ჩამოსვლის სურვილი გამოსთქვა: „Вы знаете, я еще хочу принести пользу, потому обязательно приеду в Тбилиси. Я особенно люблю вашу золотую осень, приеду примерно тогда, когда начнется листопад“.

ფოთოლცენვა დაიწყო. 10 სექტემბერს კი ნეიპაუზი აღარ იყო.

ქედს ვიხრით ამ შესანიშნავი შემოქმედის წინაშე, ვიხრით იველ მუსიკალურ საზოგადოებრიობას და მაცურებლებს შორის მარად დარჩება ნეიპაუსისეული მომზიბველობის ნათელი სხივები.

* * *

ელისო ვირსალაძე

ყველას, ვინც იცნობდა ნეიპაუსს, ვისაც ერთხელ მიინძქონდა ბედნიერება მასთან ურთიერთობისა, სამუდამოდ დარჩება მესხიერებაში სხვა მასზე, როგორც გამოჩენილ მუსიკოსსა და არტისტსაც.

ნეიპაუსზე ლაპარაკი საკმაოდ ძნელია. ძნელია იმის გახსენება, რომ იგი აღარ არის, ძნელია კიდევ იმიტომ, რომ სტყვიით არ შეიძლება იმ მომზიბველობის, მუსიკისადმი, ცხოვრებისადმი იმ არაჩვეულებრივი დამოკიდებულების გადმოცემა, რომელიც ახასიათებდა ნეიპაუსს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ნეიპაუსთან მეცადინეობის პერიოდი ჩემთვის დარჩება როგორც ყველაზე ნათელი, ცხოვრებაში დაუვიწყარი დღეები. მისი გაკვეთილები განუმეორებელია. დიდი მხატვარის მსგავსად, რომელსაც შეუძლია მოწაფის სურათთან მიხელა და ფუნჯის ერთი მოსმით მხატვრული ტილოს გარდასახვა, ნეიპაუსზეც ასევე, თავისი ერთი მითითებით ნაწარმოებს ძნელად საცნობს ხედა. ის იყო პედაგოგი — არტისტი, რომელიც შთააგონებდა მოწაფეს მეცადინეობისას. ნეიპაუსი რომელიმე ნაწარმოების თაობაზე მოწაფეს აძლევდა ისეთ შენიშვნას, რომელიც თავისებურ გასაღებად ხდება არა მარტო აღნიშნული ნაწარმოებისათვის, არამედ ამ კომპოზიტორის ყველა ნაწარმოებისათვის მთლიანად.

მასთან ურთიერთობა, როგორც მეცადინეობისას, ისე კერძო შემთხვევებში უდიდეს სიამოვნებას გვირდა არა მარტო მუსიკოს-პროფესიონალებს, არამედ საერთოდ ხელოვნების მოყვარულ ადამიანს. მსოფლიოში სახელმწიფველი პიანისტებსაც კი შეეძლოთ მისგან ღირფასოვანი შენიშვნის ან მითითების მიღება.

ყველაფერი საუკეთესო, რაც ახასიათებდა ნებისმიერ სტილს ან ეპოქას, პოულობდა გამოხმაურებას ჰენრიხ ნეიპაუსში... და თუ შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს უკიდურესად განვითარებული, სრულქმნილი გემოვნება, ნეიპაუზი იყო სწორედ ასეთი მფლობელი.

მე არ ვცდლობ ნეიპაუსის, ჩვენი ეპოქის ამ უდიდეს პიანისტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამომწურავ დახასიათებას, რადგან ამ ამოცანისათვის ძალი არ მყოფა. მე მხოლოდ მიზნობდა გამოუმხატა ის აღფრთოვანება, რომელსაც ყოველთვის ვგრძობდი მასთან ურთიერთობაში.



სულ სხვა იყო პირადად შეხვედრა; სრულად რომ შევხვეხნივარდი ფასო ეს ნიჭიერი მომღერალი, ერთდროულად უნდა-საქრებულო მენდე და კიდევაც უყურებდე. რადმილა კარაკლაიჩი სცენაზე გამოსვლისთანავე იპყრობს ღარბაზს, თავისი განწყობილების გაგლების ქვეშ აქცევს, აღანთებს მას. კარაკლაიჩის უბრალოდ სიმღერა როდი უყვარს, მას არ შეუძლია არ იმღეროს და მღერის იგი სიხარულით, სიამოვნებით, დაუღალავად, უყვარს თავისი მსმენელები და მათთვის მღერის.

ბუნებას უხვად დაუჯილდოებია რადმილა: აქვს ჩინებული ხმა, მშვენიერი გარეგნობა, შესანიშნავი მუსიკალური ნიჭი, რიტმის გრძნობა, ჰაეროვნება, მღერის თავისუფლად და მომხიბლავად. მაგრამ მარტო ეს თვისებები არ იქნებოდა საკმარისი იმ უცვლელი წარმატებისათვის, რაც მის შემოქმედებით გზას ამშვენებს, მომღერალს რომ არ ახასიათებდეს შეუპოვარი შრომისმოყვარეობა, კეთილსინდისიერი მუშაობის უნარი და სიმღერის დაუღალავი სურვილი.

როდესაც კარაკლაიჩის სცენაზე უყურებ, გებადება აზრი, რომ რადმილა მღერის მთელი თავისი სიცოცხლე. მაგრამ სულ რამდენიმე წლის წინ ეს სახელი საესტრადო მუსიკისმოყვარულებისათვის არაფრის მოქმედი იყო. კარაკლაიჩის ოჯახს სცენური ტრადიცია არ ჰქონია, რადმილა სიცილით აცხადებს, რომ სურს მან დაუშვიდროს ასეთი ტრადიცია ოჯახს. მის ოჯახში ყველა „სერიოზულ“ პროფესიას იყო დაუფლებული. თვითონაც საშუალო განათლების დასრულების შემდეგ ბელგრადის უნივერსიტეტში შევიდა, ინგლისური ენის შესწავლას შეუდგა, თავისუფლად დროს სტუდენტთა ორკესტრის რეპეტიციებს ესწრებოდა. ორკესტრში მისი მეგობრები უკრავდნენ და ქალიშვილს უყვარდა მათი ცქერა, მუსიკის მოსმენა, შემსრულებელთა კამათი, შესვენებების დროს კი ახალ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს. ერთხელ გაიტაცა მელოდიაში და მისდა უნებურად ააყოლა ხმა მუსიკას. ეს არ გამოჩინებიათ სტუდენტებს. ერთმანეთში მოილაპარაკეს და სრულიად მოულოდნელად სთხოვეს ქალიშვილს ახლოს მისულიყო და მთელი ხმით ემღერა, რადმილამ ეს ხუმრობად მიიღო და შეასრულა მათი თხოვნა. ძლიერ გაკვირებული დარჩა, როდესაც გამოუცხადეს, რომ იმ დღიდან ორკესტრის სოლისტი იქნებოდა. ასე შემთხვევითი ეპიზოდით დაიწყო რადმილა კარაკლაიჩის დიდი გზა ხელოვნებაში.

